ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 13

ქ. თეთრიწყარო 27 მარტი 2013 წელი

ერთის მხრივ ა.ა.ი.პ.თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი შოთა ეფხოშვილი (შემდეგში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი იზა ჩარქსელიანი (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს /19400000CPV/ 10კგ. შალის ძაფის შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 375 (სამასსამოცდაჩვიდმეტ) ლარს.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

„მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიაწოდოს შეუღებავი ნატურალური 10 კგ. შალის ძაფი.

„შემსყიდველი" ვალდებულია

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხადოს განსაზღვრული თანხა.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 30 დღის ვადაში;

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოებისათვის გადასახდელი თანხიდან.
5.3საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.
5.6ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, ქსპერტიზის დასკვნისა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

8.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
– მხარეთა შეთანხმებით;
– ფორს-მაჟორული სიტუაციით;
– ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულ
ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწე
წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეც
აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბ
ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირო
გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინე
შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომ
ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს ა.ა.ი.პ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის იუ
გულნარა გოგოლაძე
10.2. შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილ ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს
დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1.წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით
11.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2013 27 მარტიდან 2013 30 აპრილამე

13. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი".
ა.ა.ი.პ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის	ფიზ. პირი
კულტურის ცენტრი	იზა ჩარქსელიანი
ს/კ 430797140	ქ. თეთრიწყარო მეგობრობის ქ2
ქ. თეთრიწყარო რუსთაველის	პ.№ 22001016241
ქ. №9	ა/ა GE03LB0711101245330840
ა/ა GE49LB0115135592420000	

14. მხარეთა ხელმოწერები

კულტურის ცენტრის	იზა ჩარქსელიანი
დირექტორი /შ. ეფხოშვილი/	

430797140

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. თეთრიწყარო 8 აპრილი 2013 წ.

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერმა პირებმა: ა.ა.ი.პ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორმა შოთა ეფხოშვილმა და ფიზიკურმა პირმა იზა ჩარქსელიანმა შევადგინეთ მიღება-ჩაბარების მასზედ, რომ ჩვენს შორის 2013 წლის 27 მარტის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" გაფომებული ხელშეკრულების შესაბამისად ნამდვილად გადასცა სახელოვნებო სკოლას 375 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარის 10 კგ. შეუღებავი ნატურალური შალის ძაფი.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით :

1. /შ.ეფხოშვილი/

2. /ი. ჩარქსელიანი/